



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 29

2020 წლის 2 ივნისი

ქ. თბილისი

2019 წლის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის მოხსნის შესახებ

„გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 18 ნოემბრის N221/ნ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის, „2019 წლის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 20 ნოემბრის N134 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 1 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (N422219) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2019 წლის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადი:

პროექტის შიფრი	პროექტის სახელწოდება	მასპინძელი ორგანიზაცია	მოხსნის მიზეზი
CARYS-19-144	რთული კონფიგურაციის ზუსტი ნაკთობების რადიალური ჭედვის ახალი ტექნოლოგიისა და მოწყობილობის დამუშავება	რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	დარღვეულია კონკურსის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტი.

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

317105